

შპს რენესანსითი ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


Contents

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
5. გადახდილი ავანსები	12
6. მარაგები	12
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	12
8. გამოუმუშავებელი შემოსავლები	13
9. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	13
10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	13
11. მიწოდების ხარჯი	13
12. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	13
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31-12-24	31-12-23
აქტივები	შენიშვნა		
ფული და ფულის ექვივალენტები	4	63 569	0
გადახდილი ავანსები	5	0	0
მარაგები	6	8 324 642	0
სულ მოკლევადიანი აქტივები		8 388 211	0
ძირითადი საშუალებები		5 748 938	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		5 748 938	0
სულ აქტივები		14 137 149	0
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	1705386	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	8	16721115	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		640546	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19 067 047	0
სულ ვალდებულებები		19 067 047	0
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება		(4929898)	0
სულ საკუთარი კაპიტალი		(4 929 898)	0
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14 137 149	0


დირექტორი: გიორგი სურმანიძე



მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-24	31-12-23
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(529270)	-
საერთო მოგება		(529270)	0
მიწოდების ხარჯი	12	-	-
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(412428)	-
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(64709)	-
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან		(157122)	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(232461)	-
საოპერაციო მოგება		(1395990)	0
კურსთაშორის სხვაობა		(314139)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		0	-
მოგება დაბეგვრამდე		(1710129)	-
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(1710129)	0


დირექტორი: გიორგი სურმანიძე



კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
წმინდა მოგება	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(2651983)	-	(2651983)
წმინდა მოგება	(1710129)	-	(1710129)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	-	-	4,929,898

დირექტორი: გიორგი სურმანიძე



ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

შემოსავალი

ზედმეტად გადახდილი ღირებულებების დაბრუნება

0

ქეშბექი

სულ შემოსავალი

გასავალი

თანამშრომელთათვის ხელფასების გადახდა

მომწოდებელთან ანგარიშსწორება

ფულადი სახსრების ბანკში გადატანა

საშემოსავლო გადასახადის გადახდა

ფულადი სახსრების ანგარიშვალდებულებისთვის გადაცემა

საბანკო ხარჯი

ანგარიშებს შორის ტრანსფერი

საპენსიო შენატანი

სულ გასავალი

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

შემოსავალი

კაპიტალის შევსება

სულ შემოსავალი

გასავალი

მომწოდებელთან ანგარიშსწორება(ძირითადი საშუალების შეძენა)

სულ გასავალი

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო

საქმიანობიდან

ეფექტი კურსთაშორის სხვაობიდან

შემოსავალი

ფულადი სახსრების გადაფასება

სულ შემოსავალი

გასავალი

ფულადი სახსრების გადაფასება

ფულადი სახსრების კონვერტაცია

სულ გასავალი

წმინდა ეფექტი კურსთაშორის სხვაობიდან

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება

63569

ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის დასაწყისისთვის

ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის დასასრულისთვის

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს რენესანსითი დაფუძნდა 2020 წელს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზ., N 73ა, ბ. 4 . კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 445 584 314. კომპანიის მფლობელები არიან ფიზიკური პირები :

- სურმანიძე გიორგი (პ/ნ:61001066147) – 50%
- სურმანიძე რაული (პ/ნ:61002009289)- 50%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მრავალფუნქციური შენობების მშენებლობა. იგი საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავენ პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორები სურმანიძე გიორგი (პ/ნ:61001066147) და სურმანიძე რაულ (პ/ნ:61002009289)

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს

დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ელექტრონული მოწყობილობა	3-5
მანქანები და მოწყობილობა მრეწველობის ყველა დარგისათვის, სამსხმელო წარმოებისათვის	3-5
ძალოვანი მანქანები და მოწყობილობა	10-12,5
სამშენებლო მოწყობილობა	3-5
ოფისის აღჭურვილობა	3-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ჯგუფში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან

მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი. კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

3.5 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ შემოსავალი უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული

ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ფული საბანკო ანგარიშებზე	63569	0
სულ	63,569	0

5. გადახდილი ავანსები

კომპანიის გადახდილი ავანსები წარმოადგენს მომწოდებლებისთვის და სახელმწიფო ხაზინასთვის წინასწარ მიცემულ თანხებს, რომლის ძირითადი ნაწილიც, 2020 წელს 24,155.00 ლარი წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინაში გადახდილ ავანსს.

6. მარაგები

კომპანიის მარაგები შეადგენს სამშენებლო ტერიტორიაზე კომპანიის ბალანსზე არსებული მიწის ნაკვეთების ღირებულება და სამშენებლო მასელები რომლითაც, კომპანია ახორციელებს საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობას.

7. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად შედგება მიწის შეძენის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებებისგან.

8. გამოუმუშავებელი შემოსავლები

კომპანიის გამოუმუშავებელი შემოსავლები შედგება დაუსრულებელ საცხოვრებელ კომპლექსში მყიდველების მიერ ბინების შესაძენად გადახდილ ავანსებისგან.

9. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და რეალიზაცია.

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას წარმოადგენს მიწის შეძენისა და მასზე განხორციელებული მშენებლობის ხარჯებს. მშენებლობისა და მიწის დანახარჯების ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის აღიარებისას, შესატყვისობის პრინციპის თანახმად.

11. მიწოდების ხარჯი

მიწოდების ხარჯი	31-12-24	31-12-23
რეკლამის მომსახურების ხარჯი	14 282.00	0
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	4 700.00	0
სულ	18 982	0

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-24	31-12-23
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	412 428.00	0
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	-	0
სულ	412 428.00	0

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2020 წელს ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების გაშიფვრა კატეგორიების მიხედვით:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-24	31-12-23
საპენსიო შენატანის ხარჯი	19 285.00	-
სამეურნეო ხარჯი	56	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	5 042	-

კომუნალური მომსახურება და კომუნიკაციის ხარჯი	221	-
სულ	24 604	-

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შპს „რენესანსი“-ის საქმიანობის დაწყების პერიოდი ემთხვევა პანდემიის „მეორე ტალღას“, რამაც ქვეყნის მასშტაბით კიდევ უფრო შეამცირა საცხოვრებელ სახლებზე/ბინებზე ისედაც შემცირებული საბაზრო მოთხოვნა. ამავდროულად წლის სექტემბრის თვიდან 30-40% - ით ეტაპობრივად გაძვირდა სამშენებლო მასალები; ლარის მსყიდველობით უნარიანობის შემცირების გამო კომპანიაში დასაქმებულმა პირებმა მოითხოვეს შრომითი ანაზღაურების კომპენსირება იონფლაციის დონის გათვალისწინებით; კომენდანტის საათობრივი შეზღუდვების გამო ხშირად ფერხდებოდა სამუშაო პროცესი; ასევე საქმეს ართულებდა ტრანსპორტზე დაწესებული შეზღუდვები და სხვა გარემოებები, რაც დაკავშირებულია COVID-19 - ის რეგულაციებთან. ზემოაღნიშნული გარემოებების დაძლევა და კომპანიის საქმიანობის შეუფერხებელ მუშა პროცესში მოქცევა, არსებული რიგი კოვიდ რეგულაციების ფონზე, ქმნიდა კომპანიის საქმიანობის შეჩერების საფრთხეს. ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო კიდევ უფრო შინაარსობრივ კომუნიკაციაში უნდა შევიდეს ბიზნესთან, რათა რეგულაციების შემუშავების პროცესში გადაზღვეული იქნას ბიზნესის შესაძლო ხელისშემშლელი ფაქტორები.

გასათვალისწინებელია, რომ ასეთ რთულ პერიოდში დადებითი გავლენა მოახდინა სახელმწიფოს მიერ დღგ-ის თანხის დაბრუნებამ კომპანიის საბანკო ანგარიშზე. ასევე, აღსანიშნავია სს „საქართველოს ბანკი“-თან თანამშრომლობა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა არსებული და მოსალოდნელი ფინანსური სირთულეების გადალახვაში.

დირექტორი: გიორგი სურმანიძე

